

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის დავით ჩიქოვანის 2019 წლის

### ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას თავის საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული იმ კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს. განსაზღვრავენ საქმიანობის შინაარსს, მის მიმართულებებსა და პრიორიტეტებს.

2019 წლის განვლილ პერიოდში კომისიის უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა ინვენტარიზაცია, ქონების განკარგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე აქტიური თანამონაწილეობა საკრებულოს წინაშე მდგარი საკითხების მოგვარებაში.

კომისიის შემადგენლობაში 7 (შვიდი) დეპუტატია, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები კომისიის მუშაობაში.

ქონების მართვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი წინასწარ განიხილავს და კომისიას განსახილველად წარუდგენს დებულების მეორე მუხლის „ა“-„ვ“ პუნქტით განსაზღვრულ საკითხებს, ხოლო ბუნებრივი რესურსების საკითხების სამუშაო ჯგუფი წინასწარ განიხილავს და კომისიას განსახილველად წარუდგენს დებულების 2 მუხლის „ზ“-„კ“ პუნქტით განსაზღვრულ საკითხებს.

რეგლამენტის შესაბამისად 2019 წელს ჩატარებულია 12 კომისიის სხდომა, სადაც განხილული იყო 28 საკითხი. საკითხების ძირითადი ნაწილი ეხება მუნიციპალიტეტზე ქონების გადმოცემის, უზურფრუქტით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებზე გაფორმების ნებართვის, საწყისი ფასებისა და ქირის ოდენობის განსაზღვრაზე ნებართვის გაცემაზე თანხმობის გაცემის საკითხებს.

კომისია ადმინისტრირება უწევს საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორცაა ქონების იჯარა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, ქონების გადასახადი და სხვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 12221.6 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 8750.7 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 71.6%. მათ შორის:

ქონების გადასახადის გეგმა იყო 321.0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 397.1 ათ. ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა იყო 4346.9 ათ. ლარი, ფაქტიური შემოსავალი 4495.3 ათ ლარი. გეგმა შესრულდა 103.4%.

გრანტების სახით მიღებული გეგმა შეადგენდა 7433.9 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3692.3 ათ ლარი. გეგმის 49.7%, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 559.4 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 395.3 ათ ლარი. გეგმა შესრულდა 70.7%.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 119.8 ათ ლარი , ფაქტიურად შემოსულია 166 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 138.5%, მათ შორის : პროცენტები უნდა შემოსულიყო 4.5 ათ ლარი, ფაქტიურად

შემოსულია 1.0 ათ ლარი, რენტა გეგმა იყო 31.3 ათ ლარი, ფაქტიური შემოსავალი არის 90.5 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 289%. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 30.3 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 25.6 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 84.4%. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 2.5 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 1.6 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 63.2 %, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 11.0 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 17.4 ათ ლარი, გეგმა შესრულდა 157.9%. სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 35.0 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 7.9 ათ ლარი, გეგმის 22.7%. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლის გეგმა შესრულდა 36.4 % ( გეგმა 15.0 ათ ლარი, ფაქტი 5.5 ათ ლარი)

კომისია სერიოზულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალური ქონების საიჯარო წესით გაცემულ საკითხებს, დღეისათვის მოქმედებს 25 საიჯარო ხელშეკრულება საიდანაც ყოველთვიურად ბიუჯეტი იღებს გარკვეულ შემოსავალს.

კომისია კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დებულების ყველა მუხლის შესაბამისად.